

# მეცნიერებათა საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემია

მეცნიერებათა კეთილმან სული  
თვისი დასადგინებლად  
ი. ა. შ. 10 - 11.

№ 7

1883 - 1907 წ.

15 ხარისი

## ჩვენი სამეცნიერო საქმიანობის გამო.

სინოდის ორგანოს მეოთხე ნომერში დასტამბულია დეკლარაცია სინოდის თ. ტიტოვის სტატია შემდეგის სათაურით: „მოკლე მიმოხილვა რუსეთის საეკლესიო ცხოვრებისა გასულ წელში“. ამ სტატიის ბოლოში (გვ. 141-142) პროფესორი ტიტოვი ეხება ჩვენ საეკლესიო საქმიანობას. „პროფესორი“ იძლევა თავისებურ მიმოხილვას ჩვენ საეკლესიო საქმიანობის, ის მოგვიხსენებს, თუ როგორ „გამოცურდა“ ქართველთა საქმიანობა ვერც წოდებულ განმათავისუფლებელ მოძრაობის ქარიშხალიან ტალღებიდან. ამ მოძრაობამ, როგორც ვიცით, — ამბობს პროფესორი, — განსაკუთრებით (?) სტიქიურ ძალით მოიცო კავკასიის მხარე. ოცნებანი პოლიტიკურ თავისუფლებებზე იქ შეუერთდნენ ოცნებებს ეკლესიურ ავტოკეფალიისას ანუ ქართველ ერის ეკლესიურ დამოუკიდებლობისას. საქმე დაიწყო ქართველ სამღვდლოების და საზოგადოების წარმომადგენელთა პეტრიკით. ეს პეტრიკა შეიცავდა თხოვნა-მოთხოვნას — აღდგენილ იქმნას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

ჩვენმა მთავრობამ ამ საქმიანობის გადაწყვეტა („решение“. а не „обсуждение“?) მიანდო რუსეთის უმაღლეს ეკლესიურ მთავრობას. სინოდმა განსაკუთრებულ კომისიის საშუალებით, რომელიც მოკმედიდდა გასულ წლის დანაწიების, სცადა ამ საქმიანობის შეზღუდვანი გადაწყვეტა, განიზრახა რა მოეკრა საქართველოს მართლ-გამგებობის ნამდვილი ნაკლებიგანებანი, მაგრამ ისეთი ცდა უნაყოფო გამოდგა. მაშინ გადაწყდა ამ საქმიანობის განხილვა შენდოს წინასწარ-კრების განსაკუთრებულ განყოფილებას.

ამ უქანასკნელის ღონისძიებანიც საქმიანობის ეკლესიურ-მშვიდობიან-საკეთილო გადაწყვეტისათვის დაიშხვრა საქართველოს ეკლესიის სრულ ავტოკეფალიის დამცველთა და მომხრეთა მედრობაზე. ამ სახით ქართველთა საეკლესიო საქმიანობა დაიწყო.

ეს — ისეთივე სერიოზული, საყურადღებო და რთული საქმიანობა, — განაგრძობს პროფესორი, — როგორც საქმიანობა დასავლეთ რუსეთისა. ჩვენ არ შეუდგებით ამ საქმიანობის ისტორიულ-დოგმატიურ-კანონიერ მხარეების განხილვას და იმ დროებით მოტივებს, რომელიც მას დართულნი აქვს საფუძვლად. ამ მხრით მდიდარი მასალა მოიპოვება წინასწარ-კრების წარმომადგენლები. ვფიქრობთ და გეგმავთ, რომ ეს საქმიანობა შეიძლება გადაწყდეს და უნდა გადაწყდეს საზოგადოდ მართლ-მადიდებელ ეკლესიის და კერძოდ საქართველოს ეკლესიის საკეთილად თვალსაზრისით (კურსივი „პროფესორისა“).

დროებით განზე გადავდეთ საქმიანობის უწინდელ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის და ისტორია ამ ეკლესიის რუსეთის ეკლესიისათვის შეერთებისა (?). ეს თქვათ, რომ ყოველივე მსჯელობა ამ საქმიანობის შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველთა და მომხრეთა სრულიად მართალნი და საფუძვლიანი. მაგრამ აქედან ჯერ კიდევ შორს არის საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება (?). არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ რუსეთის ეკლესიამ ასე თუ ისე, ამა თუ იმ მოტივებით (აი აქ არის ღირსი თავი დამარხული), ამა თუ იმ გარემოებებში იკისრა დიდი და ჰასუს-საგები მოვალეობა — იყოს ქომაგი, დამცველი და მფარველი საქართველოს ეკლესიისა. ამ მხრით რუსეთის



ეკლესიაში პასუხი უნდა მისცეს ღმერთს და მართლ-მადიდებელ მსოფლიო ეკლესიას (ოღონდაც პასუხი უნდა მისცეს და მისცემს კიდევაც,— შევნიშნავთ ჩვენ!). ჩვენ ვფიქრობთ,—ბრძანებს „პროფესორი“,—რომ რუსეთის ეკლესიას, თვით უმაღლეს რუსეთის მთავრობის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გულდადებით მიანიჭოს (!) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა, როდესაც მტკიცედ დარწმუნდება, რომ,—ერთი მხრით,—ეს არის სურვილი ერთი ნაწილის კი არა, არამედ მთელი მართლმადიდებელ ქართველ ერისა და რომ,—მეორე მხრით,—საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს ყველა სავალდებანი და სრული შეტლება იარსებობს და წარემართოს ღვთის მსახურებაში დამოუკიდებლად\*). ყოველ შემთხვევაში, საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა საბაზოად უნდა გადაწყდეს მომავალ სრულიად რუსეთის ადგილობრივ კრებაზე“.

ამ წერილს არსებითი განმარტება არ სჭირია, ის თავის თავად გვიჩვენებს თუ რამდენად მღვრიე და მოწამილოა სათავანი, საიდანაც ეს ნაკადული გადმოიზუზუბებს. ეს წერილი მ. ტიტოვისა არის მოკლე დასკვნა წინასწარ—კრების მეორე განყოფილებისა ჩვენ ეკლესიის საკითხზე. გალაღებულ „პროფესორს“ „რომელიც წერილი იყო აღნიშნულ კრებისა, ეტყობა საფუძვლიანად შეუთვისებია მოძღვრება ვოსტორგოვ—სტეფანე—ბუტკევიჩებისა; ის ერთი კალმის მოსმით გვეტყობის წვერმოტყობილ ისარს სებარატისმისას. ოცნების სამეფოდგან გამოწვეული სებარატისმი—ეს ის გაცეთილი უნაგირია, რომელსაც ასე ხშირად და უხერხულად შემოახტნებიან ხოლომე ჩვენი ქვეყნის ყოფილნი თუ არსებულნი „პრაქტიკესკიე დეიტელები“ (ვოსტორგოვის ეპიტეტია), ხოლო ამ უკანასკნელთა ჰანგებს ხრინწიანი ხმით გაჰკვირან „პროფესორები“ სცილილობენ რა მეწერილმანე ჩარჩებივით ერთმანეთს უკან შემოაუსხდნენ გადახებილ უნაგირზე და იწყონ უშნოდ ძუნძილი...“

\*) აქ ივთლისხმება ჩვენი მღვდლების „პური არსობისა“—ლიუთი საზრდო. რომელსაც ასე გვაყვებოდნენ „ისტინო პრაოსლავნიე ლიუთი“.—გვაყვებოდნენ ისევე ჩვენსავე ლუკას, რომელიც მათი ხელიდგან გვეძლევა ნახევრად და რომელიც ყელზე გვადგება ხოლომე ..

„პროფესორი“ გულდაწყვეტილად მოგვითხრობს თუ როგორ უნაყოფოდ ჩაიარა სინოდის განკარგულებით შემდგარ განსაკუთრებულ კომისიის მაცადინობამ ჩვენი საეკლესიო საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის.—„პროფესორი“ არ გვეუბნება თუ რა სცნო „კომისიამ“ საქსარბოსო მართვა-გამგეობაში „ნამდვილ ნაკლულევანებად“, რომელთა მოსაზრებით კომისია ჰფიქრობდა ჩვენი საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას.

ჩვენ საბუთიანად ვფიქრობთ, რომ აქ „პროფესორი“ გულსხმობს იმ გარემოებას, რომ იმ ხანად სინოდმა წინადადება მისცა ყოვლად სამღვდლო კირიონს, რათა უკანასკნელი საქართველოს ექსარხოსად მოვლინებოდა. მაგრამ,—ეს პირველი და უკანასკნელი ცდა სინოდისა ამ ასი წლის განმავლობაში—ქართველ ეპისკოპოსს ექსარხოსობა ღირსებოდა,—როგორც მოსალოდნელი იყო, უნაყოფო აღმოჩნდა ეს ღონისძიება, გარეშე თვისის დრომოქმულობისა, ცბიერებითაც აღსავსე აღმოჩნდა, ვინადგან იგივე ყოვლად სამღვდლო კირიონი, ჩვენთვის დღესაც გამოურკვეველ მიზეზებით, სოხუმის ეპარქიიდგან კოვნოში გადაისროლა იმავე სინოდმა ქორ. ეპისკოპოზად (ვიკარინად), ცხადია, ყ-დ სამღვდლო კირიონს უფრო შავი დღე დაადგებოდა; რომ ის ქალაქში მოსულიყო ექსარხოსად... საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა საეკლესიო კანონების ძალით აბურთავებენ ყ-დ სამღვდლო კირიონს?! მაგრამ,—რას დადგევს სინოდი კანონებს?! აი ასეთ გარემოებაზეა ნათქვამი: „ქვეყანა ენახე უძალიო, შიგ გავიარე უჯოხო“.

ასევე უნაყოფო აღმოჩნდა წინასწარ კრების ღონისძიებანიც—ჩვენი საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის. „პროფესორის“ სიტყვით, ამ შემთხვევაში წინასწარ კრების კეთილი სურვილები შეეხებუქენ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის დამცველთა და მომხრეთა მდგრობას, მერე იცით, რამდენი „დამცველი და მომხრენი“ ჰყავდა ჩვენს ავტოკეფალობა წინასწარ—კრებაში?—სულ ხუთი-ოღე!—თუ ანგარიში მიეღებთ ყ-დ სამღვდლო ევთიმესაც (ელიევი), რომელსაც ვოლინის არქიეპისკოპოზ ანტონისათვის უსწავლებია—ჩვენი ძველები თუ როგორ აფრქვევდნენ საიდუმლო ზიარების შესრულების დროს „სასოგების მომგვრელ ტრემლებს“;— „умоленные слезы“. (II. B. 1907

ავტორი.

რ. № 4 სტრ. 158). ჩვენთვის მხოლოდ ესაა  
 შეიქნა გასაგები—რატომ აპაჟუნ—აპაჟუნებდა  
 თვალბს ყ-დ სამიღველო ვეთიმი საიღუმლოს  
 შესრულების დროს, თუმცა მის თვალბზე არ  
 შეგვიწმინავს „სასობების მძიმეგვრელი ცრემლები“!  
 იმ დალოცვილის რაღა მარტო ასეთი „ცრემლები“  
 შეღწარუნებია ჩვენ ძველთა გარდმოცემთაგან,—  
 სხვა რამეშიდაც მიგებანა მათთვის..\*)

ეს ოთხიღდე პირნიც ოსტორგოვ—სტეგანე  
 —ბუტკევიჩებმა ბრალდებულთა სკამზე წამოასკუ-  
 პეს და თითქმის გაროზგეს კიდეც, ერთი იმ ოთხ-  
 თაგანი იძულებულიც კი გახდა კრებიღგან დემონ-  
 სტრატიულიად გასულიყო (პროფესორი მარრი),  
 კრების უქანასკნელ სხომას კი არც ერთი ავტო-  
 გრაფილის „დამცველ-მომზრთავთაგან“ აღარ დასწ-  
 რებიან, დარჩა რა ვოსტორგოვს ბურთი და მოე-  
 დანი; უნდა გამოგტყდეთ საკმარისადაც იჯერა  
 მან ჩვენზე გაცეცხლებული გული,—შრომაც დაუ-  
 ფასდა,—იმისი „დოკალიდ“ ერთ ხმაღ მიიღო  
 წინასწარ-კრების მეორე განყოფილებამ. და მით  
 ამ უქანასკნელმა თვით უარჰყუ თავი თვისი—

\*) ტირილი ლოცვის დროს ორგვარია. ერთი ტირის  
 დიდი ბორბტების და ცოდვების მოსანებებლად და მეორე—  
 ფარისეულურად. ორივე შემთხვევაში ტირილი დამაძაბულე-  
 ბელია და არა ზედაყმყანი ესეთი მოქმედება კაცისა, როგორც  
 ფარისეულური, დამოზილია ქრისტესაგან.

1885 წელში ოკტომბრის 25-ს ბიჟენტის ტაძრის  
 კურობების შემდეგ, სახარების კითხვაზე, ტრაჰეში შემოვიდა  
 მთავარ-მართებელი დანდუკოვ-კარსაკივი. დადგა იგი ტრა-  
 ჰეში და სანამ სახარება არ გაათავა მთავარ-დიაკონმა ლე-  
 დესავით მოსდიოდა თვალბზე რცემლები, ბოლოს სულ  
 აკითინდა, ყველანი გაგვარცა, ნაწირებეს ექსარსოსმა პავლემ  
 მკითხა მიზეზი ტირილისა ცალკე თათანი, რომელშიაც მეც ვი-  
 ყავ. მან უთხრა: მე წარმომიღდა ძველი დრო საქართველთაისა,  
 როცა ამ დიდებულ ტაძარში ქათალიკოსები იყვნენ მწირველნი  
 და ღღეს მათ მაგიერ თქვენ დაგინახეთ. ჩემი გული სიხარუ-  
 ლით აღვიცო და ამ გრძნობით გული ამიოხვდა და ავტრ-  
 დიო. მაგრამ ეს ტყუილი იყო. დილაზე აღდე თურმე კარგა  
 გადავქრა... მოგვსენებათ გადაკრულები ხშირად ტირიან  
 ხლმე... ხმ იცით ზოგიერთები ვოტკას გადაკერენ ტირილის  
 მისაგვრელად. ვვანებ ამ საშუალებას ხმარობდა მ. ვ-ვიც  
 და სხვების გასაკვირად ზიარების დროს როგორ აქევედა  
 რცემლს თვალბიდანა... ერთხელე თუ დაეჭია კაცი ამ ფა-  
 რისებურ საქციელს ველარც კი მოიშლის შემდეგ... ზოგი-  
 რთების კი რცემლის დერა, ფარისეულური მიზნით ჩადენილი,  
 ანგელზბტივი ცხოვრების დამამტკიებლად ამიანია.

რედ.

თვისი ნაჭირნახულეგ—ნამოქმედარით!—რაღა  
 იხეთქდა თავს წინასწარ-კრების მეორე განყოფი-  
 ლება ჩვენ საეკლესიო საკითხზე, როდესაც მან  
 კარგად იცოდა, რომ ვოსტორგოვის ფურნეში  
 უყვე გამოცხვარი იყო ამ მოწამულ საკითხის  
 განსაკურნებელი რცემბტი? ჰოი, უნაყოფოდ და-  
 ხარჯული დროე!, შეუძლია სთქვას წინასწარ-კრე-  
 ბის მეორე განყოფილებას თვისის „პროფესორ“—  
 მიტროპოლიტ—ეპისკოპოზებ—დეკანოზებით და  
 სინოდსაც, რომელმაც ეს საკითხი მას გადასც  
 საჯიჯგნ საღებავად!

„პროფესორი“ ოლიმპიურ სიმაღლიღგან  
 დაგვჩხავს—„ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს და  
 უნდა გადასწყდეს (აქი გადასწყვიტა ვოსტორ-  
 გოვმა? № 8 II. B.) საზოგადოდ მართლმადიდებელ  
 ეკლესიის (თუ რუსეთის?) და კერძოდ საქართ-  
 ველოს ეკლესიის საკეთილო თვალსაზრისით“.  
 „პროფესორს“ კიდეე „სწამს“, რომ ასეთ ზოგად  
 ფრავებს გასავალი ეწება ვინმეს თვალში!—გარდა  
 კარ-ჩაკეტელ „ქუმშარიტ პროფესორებისა“, ესლა  
 ყველად იცის თუ რა არის „საზოგადოდ მართლ-  
 მადიდებელ ეკლესიის (რომლის სინოზიდად  
 „ქუმშარიტ-რუსთა“ დასახული ჰყავს გაბატონებული  
 რუსეთის ეკლესია) და კერძოდ საქართველოს  
 ეკლესიის საკეთილო თვალსაზრისი“!—ეს „თვალ-  
 საზრისი“—რუსეთის ეკლესიის და მისგან დამო-  
 ნავებულ საქართველოს ეკლესიის ნებსითი თუ  
 უნებლიეთი შეხმატბიღება თვით-მპყრობელ  
 ბიუროკრატისთან. ამ უქანასკნელს კი ეკლესია  
 სკირია იმდენად, რამდენადაც ბიზანტიურ—რუ-  
 სულ—ქართული ეკლესიური სისტემა დღვაებრივ  
 ავტორიტეტით აშუქებს ბიუროკრატის ზნელ  
 საქმეს და მის მსწრაფლ-მსროლელ სასამართლოებს.

ესაღია „პროფესორის“ მზრუნველობა  
 „მართლ-მადიდებელ ეკლესიაზე“ ვერ დააკმაყო-  
 ფილებს რუსთ—ქართველ შეგნებულ—გამოფხიზ-  
 ლებულ მწყემსთ—ცხოვართ. პროგრესიულმა რუ-  
 სეთის სასულიერო ორგანოებმა და რუსეთის პრეს-  
 სამაც მჭევერ-მეტყველურად დაძვოა წინასწარ-კრე-  
 ბის შრომანი და ნაწარმოები თვით რუსეთისათვი-  
 საც... სასტიკი ბძოლა გამოუცხად ქართულმა  
 პრესსამ საღათას ძილით მოცულ ჩვენ სამღდე-  
 ლოებას, რომელიც ხან მოკლედ თითქოს ანთო  
 ღვთაებრივ ცეცხლით, მაგრამ ისეე მიიფერფლა და

საქიროებს უფრო ენერგიულ მუკლუფუნებს, რომ ის თვის დამყარებულ სიროდენ გ. მოვიდეს, რომ იმანაც შესაფერი ადგილი დიქიროს კაკობრიობის და თვის ერის წინმსვლელობის მეჯლისში...

„პროფესორი“ დროებით განზე სდებს ჩვენი საკითხის დოგმატიურ—კანონიურ—ისტორიულ მხარეებს;—ის თითქოს პრაქტიკულ ნიდავზე აყენებს საეკლესიო საკითხის გადაწყვეტას,—იმას არ სწამს, რომ ეს საკითხი მთელ ქართველ ერის და სამღვდელთაობის ცხოვრებას წამოეყენებოდა; „პროფესორი“ ისევ სებარატიზმის სამოსელში ხვევს ჩვენ ეკლესიურ საკითხს; „პროფესორი“ ისევ მაღალ ფარდებში მიიწევს,—ის შიშობს—შესძლებს კი ქართველი ერი თვის სინდისის თავისუფლების დამოუკიდებლად წაუძღვეს? „პროფესორს“ ემინია პასუხის მეგებლობისა მსოფლიო მართლ-მადიდებელ ეკლესიის წინაშე და თვით ღვთის წინაშედაც: ვი თუ ქართველებმა უმზრუნელოდ—უაპეკუნოდ ვერ შესძლიონ ღვთის მსახურება! ამიტომ „პროფესორი“ საქიროდ სთვლის ჩვენთვის ისეთ „პრაქტიკულ—მოღვაწევს“, როგორც იყვენ და არიან ვოსტორგოვ—სტეფანე და მათი ამჟოლ-დამჟოლნი (იხილეთ № 8 II, B. გვ. 294):

ამ სახით „პროფესორი“ წინადადებას იძლევა პასუხი გავსკეთ მთელ რიგს მისგან წამოყენებულ საკითხებისას.

ქართველი საზოგადოება მწარედ მოსტყულებდა, თუ ის იფიქრებს, რომ ამ საკითხებს პასუხს ვასცემენ ქართველ სამღვდელთაობის „მოწინავე წარმომადგენლები“,—ასეთი წარმომადგენლები არ ჰყავს ქართველ სამღვდელთაობას, მასში არიან მხოლოდ ჯვარ—ორდენ—ღვინტებით დაჯილდოებულინი, ნათლობა—ქორწინება—დასაფლავების აღმსრულებელნი და სხვა არაინ! დროა ეს შეიგნოს ჩვენმა ერმა და თვითონ ხმა ამოიღოს თვის ეკლესიის სეგზელზე, რომელსაც რუსეთის ადგილობრივი საეკლესიო კრება ვოსტორგოვის რეცეპტით უპირებს „საბოლოოდ გადაწყვეტას“.

თუ ჩვენმა წინაპრებმა ჩვენი ეკლესია გადმოგვეცეს კანონიურ მხრის თავისუფალი, თუ ამდენ ხანს ჩვენი ეკლესიის ძალაუნებურ შეერთებას რუსეთის ეკლესიასთან არ ადასტურებდა არავითარი ისტორიულ—კანონიური საბუთი,—ეხლა პეტიკრობს სინოდი ასეთ საბუთის შექმნას,—ეს

საბუთი იქნება—რუსეთის საეკლესიო კრების დადგენილება; ხოლო როგორ გადასწყვეტს ეს „კრება“ ჩვენ საეკლესიო საკითხს, ამის შესახებ ეხლა ორი აზრი აღარ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს: ამ კრებაში მონაწილეობას მიიღებენ იგივე პირნი, რომელნიც მუშაობდნენ წინასწარ კენებაში და რომელნიც ეცდებოდნენ საქართველოს ეკლესიის სხენება აღვაკონ პირისაგან ქვეყანისა. მაგრამ რა მნიშვნელობა ექმნება ჩვენთვის იმ კრების ასეთ თუ ისეთ გადაწყვეტილებას?—თუ რუსეთის კრების კომპეტენტეციაში ვსცანით ჩვენთვის ავტოკეფალიობის „მონიკება“, მით იმავე რუსეთის საეკლესიო კრების სრულუფლებას მივსცემთ—როდესაც მოისურვებს—წავგართვას ბოძებული ავტოკეფალია.— შეიძლება ვინმემ ბრძანოს—ადგილობრივ რუსეთის საეკლესიო კრებას არა აქვს კანონიერი უფლება საბოლოოდ გადასწყვიტოს ავტოკეფალურ ეკლესიის სეგზელია,—მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ „კანონისტიები“—აღმზავს—ბრილიანტოვ—ბერდნიკოვები თავისებურ განმარტებას მისცემენ ასეთ კანონიურ უფლებასაც, რომ კრების დადგენილებას განახიზნა შეეძლოს; კრების დადგენილების სანქციას მისცემენ ის პირნიც, რომელნიც ჩვენი მხრიდან დაესწრებიან მომავალ რუსეთის ადგილობრივ საეკლესიო კრებას. ამისათვის თავისთავად იბადება საკითხი—გაიგზავნოს თუ არე ჩვენი ეკლესიის წარმომადგენელნი იმ კრებაზე?—ამბობენ კრებას 15 მისისათვის მოიწვევენო...\*)

ჩვენ საქმე არა გვაქვს რუსეთის ეკლესიასთან,—ჩვენ საქმე გვაქვს რუსეთის ბიუროკრატიათთან, რომელმაც ძალ-მომხრობით წავგვლიჯა ამდენი ნაქირნახსლვევი განძი. საეკლესიო ბიუროკრატია კი თვის უფლებებს გადაახტა, განიზრახა რა ჩვენი საკითხის „საბოლოოდ გადაწყვეტა“ მომავალ კრებაზე. მას უმადლესად ნაბძანები ჰქონდა ეგრედ წოდებული „სპრაკა“—ჩხრეკილება წარედგინა ხელმწიფე იმპერატორისათვის—ჩვენ ეკლესიის შესახებ. ეს ჩხრეკილება შეიძლება კი მხოლოდ ერთი: რუსეთის მთავრობა და მასთან

\*) ეს ჩვენის ფიქრით შემდარი აზრი უნდა იყოს. ახე მალე არ შეიძლება მთელი რუსეთის საეკლესიო კრების დაბარება, თუ ამ კრებას რაიმე რეფორმის შემოღება სურს. რედ.

სინოდი უკანონოდ მოიქცენ, ჩამოართვეს რა ჩვენს ეკლესიას ავტოკეფალია, ხოლო რამდენად შემგრო და საკეთილო იქნება ჩვენთვის ავტოკეფალური ეკლესია, — ამის გადაწყვეტა თვით ქართველ ერის საქმეა და სხვა არავის.

ბ. თ.



**უწმიდესი სინოდის ომბერ-პროკურორის კონსტანტინე ვიტკასკის პოპულაროსების განაცხადების გამო.**

უწმიდესი სინოდის ომბერ-პროკურორი კ. პ. პობედონოსცევი, ღრმად მოხუცებული, უყვე გარდაიცვალა. ის იყო რიაზანის გუბერნიდამ, სწავლა დამთავრა იმპერატორის სასწავლებელში, რომელშიაც კანონებს ასწავლიან. სამსახური დაიწყო 1846 წლიდან საერო წოდებაში. სასულიერო უწყებაში სამსახური დაიწყო 1880 წელში აპრლის 24 რიცხვიდან. ომბერ-პროკურორის თანამდებობაზე დაინიშნა 1880 წლიდან. სენატრობის წოდებაში ირიცხებოდა 1868 წლიდან. სახელმწიფო საბჭოს წევრად ითვლებოდა 1872 წლიდან. მინისტრების კომიტეტის წევრად ინიშნებოდა 1880 წლიდან.

ჯამაგირი ეძლეოდა 1800 მანეთი, დამატებითი ჯამაგირი ეძლეოდა 4000 მ. არენდა ჰქონდა 4000 მანეთის, ამასთან ჰქონდა სახელმწიფო სახლი, განათება და გათბობა. მიიღო თითქმის ყველა უმაღლესი ორდენები.

ღღეს ბევრს რამეს სწერენ მისი სამსახურის შესახებ და ძლიერ ცუდათაც იხსენიებენ. განსაკუთრებით მას აბრალებენ, იმპერატორს ალექსანდრე მესამეს, 1881 წელში, კონსტიტუციაზე უარი ათქმევინაო და იმას რომ არ ჩაეშალა ეს საქმე უთუოდ რუსეთში კონსტიტუცია დაარსდებოდაო. კონსტიტუციის დაარსებას მაკადინობდნენ თვით ალექსანდრე მეორე, დიდი მთავარი კონსტანტინე, სახმელნო მინისტრი მილოუტინი, ლორის მელიქოვი, რომელიც პირველი პირი იყო სახელმწიფოში და აბაზა. ალექსანდრე მეორე მოკლეს, მილოუტინი, ლორის მელიქოვი და აბაზა სამძღვარ გარეთ გააძევეს და თვითმპყრობლობა უფრო განამტკიცეს. ყველა ეს, რომ პობედონოსცევის მიაწეროს კაცმა

დიდი შემცდარი აზრი იქნება. ღღეს პობედონოსცევი აღარ არის. მაშ ვილა უწმლის ხელს კონსტიტუციის დაარსებას?!

ნეტავი ვიცოდეთ რას ფიქრობენ ზოგიერთები, როდესაც სწერენ ღღეს თვითმპყრობელ ბიუროკრატიაზე. ეს თვითმპყრობელი ბიუროკრატია არ ყოფილა ალექსანდრე მესამის გამეფების დროს? თუ მართო ერთად ერთი პობედონოსცევი შეადგენდა 1881-ში ამ თვითმპყრობელ ბიუროკრატისა?..

ერთხელ სინოდში ვიყავი. მთხოვნელების მისაღებ ოთახში ერთი გრაფი წარუდგა პობედონოსცევს და მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ! მოგხსენებთ კარგად თუ რამდენად სამწუგარაო ეკლესიის ტაძრის ახლოს სასმელების ღუქნის გაღება. გთხოვთ მიაქციოთ ამას ყურადღება და ტაძრის სიახლოვეს გახსნილი ღუქანი დაიკეტოს, რომელზედაც განცხადება მაქვს შემოტანილი.

— მე არ მესაქიროება იმის განმარტება თუ რა საძაგლობა არის ტაძრის ახლოს სასმელი ღუქნის გაღება, თუხრა პობედონოსცევა, მაგრამ აზა თუ მე; არამედ ასი ეშმაკიც რომ წინააღუდგეს სასმელების ღუქნის საქმეს ისინიც ვერაფერს გაარიგებენ. მე რა შემიძლია მართაო?..

ტყუვლად აბრალიან პობედონოსცევის კონსტიტუციის შემოუღებლობას. პობედონოსცევისხოლოდ ბრალი აქვს სასულიერო წოდებაში მსახურებისამებრ. იმის გაფლენით სამრევლომ დაჰკარგა ყველა ის რითაც იგი ცოცხლობდა. თუმცა პირველად ბევრს პირდებოდა საზოგადოებას სინოდის გადაკეთების შესახებ, მაგრამ ბოლოს უწმიდეს სინოდს მართაო ის შეადგენდა!..

ევისკოპოსების კურთხევა, მათი დაჯილდოება, გადაყვან-გაღმუყვანა, ექსარხოების დანიშვნა განაპირა ქვეყნებში და მთელი სასულიერო საქმეების მართვა-გამგეობა პობედონოსცევის საქმე იყო და თუ ბრალი ედება რამე, აი, აქ აღმოუჩნდება მას მრავალი შეცდომები, რომელნიც დიდ ბრალს დასდებენ მის სამსახურს. რაიცა შეეცება კონსტიტუციის შემოღების წინააღმდეგობას იმას გაამართლებენ მისი სიკვდილის შემდეგ ისინი, ვინც წინააღმდეგი შეიქნება ამ რფფორმისა. მართალია ხალხის აზრი შედგენილი კონსტანტინე პეტრეს-ძმეზე; იგი იყო მრავალთათვის „მედონოსცევი“, მაგრამ ზოგიერთებისთვის „პობედონოსცევი“.



დიდ ტომს შეადგენს პობედონოსცევის ცხოვრების და მოღვაწეობის აღწერა. და ბევრ საინტერესო ცნობებსაც შეატყობინებს საზოგადოებას...

სიფიქსი ხუცესი.



**ჩინეთის დასაჯავ მღ. გრიგორი პეტროვი.**

უკანასკნელ დროს როცა გამოცხადდა ტაბტიდან მანიფესტო ხალხის ცხოვრების სხვა რიგით მოწყობაზე, მამა პეტროვმა დაიწყო ქადაგება და წერა ახალი ცხოვრების დაბადების გასაადვილებლად, ის შეიქმნა მხარებლად ახალი სოციალური ცხოვრებისა და ახალი წეს-წყობილების შემოღებისა. მაგრამ მღვდელი პეტროვი პეტერბურგის სასულიერო კონსისტორიამ დასაჯა. პეტროვზე წარმოითქვა სასტიკი სასჯელი. პეტროვის ყოფა-ქცევა და მოღვაწეობა უცნაურად მაცოფრებლად და შეუფერებლად მღვდლობის ხარისხისათვის. აღზად დიდი რამე შეცდომა ნახეს მის ნაწერებში?.. ენახოთ, ვაჟინჯოთ რა წინააღმდეგი აზრები აღმოუჩენიათ მის ნაწერებში და ქადაგებებში... ოფიციალური გამამტყუნებელი სიგელი არა მკირე საბუთებს და მოხსენებათა იძლევა გრიგორი პეტროვის მენებელ მოღვაწეობაზე.

მოხსენება მოსკოვის ქორ-ეპისკოპოსთა და სასულიერო წოდებისა, რომელთა მოხსენება ერთმა ჯგუფმა მოსკოვის სამღვდლოებისამ საეკვოთ ჩასთვალა და ბეჭდვითი სიტყვითაც ვანუცხადეს ამაზე თავისი აზრი. წერილი ყველა რუსთა თემის კავშირისა, ტელეგრაფმა უწმიდეს სინოდში გაგზავნილი ყოველ რუსთა კავშირის თავმჯდომარისა ეკატერინებურლიდამ. ამ საბუთებს უკავიათ სამი პირველი ადგილი და მიმატებული აქვთ ერთი ხელმოაწერელი წერილი უცნობი კაცისა, რომელიც ყოფილა მიტროპოლიტ ვლადიმერის სახელზე გაგზავნილი.

ყველა ამ საბუთებში მღვდელი პეტროვი დამნაშავედ გამოყვესთ, რომ იგი აჯანყებას და აღრევას სთესავს მთელ მართლ-მადიდებელ სამწყსოში, რომ იგი შმახავს და რყენის სულიერად, ზნეობითად და პოლიტიკურად ხალხს, ვითომ იგი არყვეს რუსეთის სახელმწიფოს სიმტკიცეს, განსაკუთრებით სთესავს ტულ აზრს კერძო საკუთრების წინააღმდეგ,

და დიდებულ და უფროს პირთა წინააღმდეგ. ყველა ეს ბრალდებულებანი მოყვანილნი არიან საზოგადოდ მარტო სიტყვებით და ერთი ადგილი არ არის ნაწვენები, რომ მართლა დასაბუთებული იყოს.

ამისთანა დაუსაბუთებელი ბრალდება სრულგებთ უყურადღებოდ უნდა დატოვებულიყო და კანონით თვითონ ამ ინსინუაციის დამწერნი უნდა მიცემულიყვნენ პასუხის გებაში, მაგრამ პეტერბურგის სასულიერო კონსისტორიამ ეს ცილის წამება მიიღო საფუძვლად მღვდლის პეტროვის გასამტყუნებლად.

სასულიერო კონსისტორიამ გარდასცა ყველა წიგნები პეტროვისაგან გამოცემული პეტერბურგში არსებულ კომიტეტს განსახილველად და თავის აზრის წარმოსადგენად, ამ კომისიაში მონაწილეობას იღებდა ერთი წევრი პეტერბურგის კონსისტორიისა.

კომისიის მოხსენებას შეადგენს ორი აზრი. კომისიის მოხსენებაში პირველად ღირსეულად არის დაფასებული ღვდლის პეტროვის ლიტერატურული მოღვაწეობა იმ ნაყოფით, რომლის მოტანაც შეეძლო საზოგადოებისათვის.

ოთხჯერ ამბობს კომისია, რომ მღვდლის პეტროვის გამოცემულ წიგნებში არავითარი საწინააღმდეგო, საბოროტო; მწვალებლობითი მოძღვრება ანუ რამე სხვა საწინააღმდეგო მართლ-მადიდებელი სარწმუნოების წინააღმდეგ არ არისო. მაგრამ მეორე ნაწილში, დასკვნის კომისია, შეიძლება ზოგიერთ მკითხველების აზროვნებასა და გულში დაბადოს ტული მენებელი თესლი აზროვნებისა, რომელიც სასურველი არ არის მართლ-მადიდებელის სარწმუნოების წმიდად დაცვისათვის...

ვის გაუგონია, რომ წიგნის დამწერი დავსაჯოთ იმისთვის, რომ წიგნში თუმცა არაფერი საწინააღმდეგო არა ეწერა-რა, მაგრამ ამ წიგნის შინაარსი სრულგებთ სხვა ნაირად განმარტა მკითხველმა და ბოროტად მოიხმარა? კომისიის წევრები ამტკიცებენ, რომ პეტროვის თხზულებებში საწინააღმდეგო არ არის რაო, მაგრამ შეიძლება მკითხველმა უკუღმართად გაიგოსო და ამ ნაირად საზარალო შედეგი მოყვეს მკითხველთათვისო. ამ კომისიას, რომ სახარება მიანდონ გასარჩეად უთუოდ ბრალს დასდებს იესო ქრისტეს და სახარებას აკრძალავდენ. თუ

შენი ასო გაცთუნებდეს მოიკეთე იგიო“. როგორ ასრულებენ ამ სიტყვებს სკოლები? კომისიის აზრით სკოლებში გავრცელებაში ქრისტიანულ და დამწახვე, რადგან სახარების სიტყვები სხვაწიროდ განმარტეს და ბოროტად ასრულეს..

ღიად, პეტროვის დასჯა ძლიერ სამწუხარო ფაქტია ჩვენს დროში. მისი დასჯა ცხადია ამაჰი-ცებს, რომ ჩვენს დროში ახალი აზრების გავრცე-ლებას დიდი დაბრკოლება ელოდება წინ. ცხადია სწავს, რომ საშინო ყოფილა სახარების ქადაგებაც, რადგან სახარების მცნებასა და სწავლა-მოძღვრება-ზედაც სულ უკუღმართი აზრი ჰქონებიათ შედგე-ნილი ზოგიერთი სასულიერო მოსამსახურე პირთაც. პეტროვისათვის ენის დაღუმება და წერის დაშლა, ჩვენის აზრით, კატორგაში გაგზავნაზე უარესია... (სეურ. ზეონარა“-ა).

დკი. ღ. ღამაშიძე.

**მკვლრებს აღარა რცხენიათ.**

ანდაზად ნათქვამია, რომ მკვლრებს აღარ რცხენიათ. ჩვენ ეხლა ვრწმუნდებით, რომ არა თუ მკვლრებს, არამედ ცოცხლებსაც სირცხვილი აღარ ჰქონიათ. ამას წინეთ ჩვენ გამოავაჰქარავეთ იმ ბლაღოჩინების საქციელი, რომელთაც „მწყემს-სი“-ს ფულები მიიღეს სამღვდლოებისაგან, მაგრამ თავის ჯიბაში ჩადვეს და იქიდან აღარაფერს აღარ იძლევიან. ჩვენ გვეგონა, რომ ეს ბლაღო-ჩინები ხმას ამოიღებდნენ და თავის უმეგონა საქ-ციელს გაასწორებდნენ, მაგრამ მათ, როგორც გავს, მკვლრებივით სირცხვილი დაუკარგავსთ. ერთი ორი ჩვენ გამოვიწვიეთ სამედიკატორო სამართალში, მაგრამ ამ სამართალში გამოვსვალზედაც აქვეათ ენა მათი სასასა მათსა“ და კრინტს არ სძრავენ. ეხლა დაგვრჩენია მხოლოდ სასამართლოს კანონები თუ რაიმე ძალა ვამოიჩინეს და გმირებზე..

ყველა ბრალდებულ ბლაღოჩინებში გამო-ნაკლს შეადგენს რაჰის ბლაღოჩინი, მამა მათე გორდუზიანი. მ. მათე გორდუზიანი თავის გასამარ-თლებელი პასუხი გამოგზავნა, რომელიც უკვე და-ბეჭდილი იყო. „მწყემსი“-ს მე-მ. №-ში. ამ პასუხზე ჩვენ მაშინვე გავეცით პასუხი და ვინც წაიკითხავ-და გორდუზიანის და ჩვენ პასუხებს კარგად შეიტ-

ყობდა თუ რამდენად დაიმსახურებდა სიმართლეს მამა გორდუზიანის თავის გამართლება.

ღღეს კიდევ მივიღეთ ჩვენ დამატებითი პასუხი მამა ბლაღოჩინის მათე გორდუზიანისაგან. ამ დამა-ტებითი პასუხში ის აცხადებს, რომ მე, რადგან სექტემბრიდან საღმელის საბლაღოჩინოდან წამო-ვედიო ფულები არ ამიღიაო. ეს ფულები ბლაღო-ჩინს ს. ჰელიძეს უნდა მიეღო და გამოეგზავნაო. ამასთან ბლაღოჩინი ჰელიძე და საღმელის საბლა-ღოჩინო მღვდლებიც ტყუეილს ამბობენ, რომ წლის განმავლობაში ყურნალი არ მიეღოსთ. ყურნალს როგორც მივიღებდი მაშინვე გარდავის-ცემდი სავანეებოდ დანიშნულს სამღვდლოების თანხმობით აღრჩეულ კეთილ საიმედო პირს საღ-მელის მღვდელთნეს გრიგოლ მუსერაძესო.

უკანასკნელ პასუხზე აი რა უნდა უთხრა მამა მათე გორდუზიანს:

რამდენიც უნდა ვამართლოს თავი მამა მათე გორდუზიანმა ამო იქნება. ჩვენ ვაზეთის ვაგზავნა მოვსპეთ მის საბლაღოჩინოთ. მაგრამ მან მოგცა პატრონას სიტყვა, რომ ყურნალების ფას ის გამოავიგზავნიდა ოღონდ ვნდობლით მის აღთქ-მულ სიტყვას. ჩვენც ვენდვით მი სიტყვას და კი-დეც უგზავნიდით წლის ბოლომდის 16 ცალს. ნუ თუ ვალდებული არ იყო მამა გორდუზიანი თავისი სიტყვა აღესრულებია და ფულები გამოეგზავნა მათე თვეზე მიან?

მღვდლები თუ ტყუეილს ამბობენ, რომ არ მიეღოსთ ყურნალი მან დაუმტკიცოს, შეკრი-ბოს და მისი სიტყვისამებრ ჩავაბაროს 16 ცალის 48 მ. რაიცა შეგება ვითომც ბრალი ედებოდეს ბლაღოჩინების კენქისყრის წინააღმდეგ, განმეოვებით ვცხადებთ კიდევ, რომ არავისგან მას ეს ბრალი არ დადებია და არც საჭიროა მისგან თავის გამართლება. წინეთ ვსთქვით და ეხლაც ვიმეორებ, რომ სიტყვები „ბლაღოჩინების კენქით აღრჩევის წინააღმდეგნი არიან“ მას არ შეგება და გული დაიმშვიდოს.

მამა მათე გორდუზიანი თუ ისურვებს და ამხანავობის სამართალში გამოგვეცება მაშინ უფრო გამოირკვევა სიმართლე. მე ვინაწავ ჩემის მხრით მამა ბლაღოჩინს მიხეილ სხირტლაძეს და მამა მიხეილ ვაგაშელაშვილს, მან დანიშნოს ორი პირი და მათ აირჩიონ თავსმჯდომარე და გააჩიონ ეს

საკითხი და ბრალი დასდენა ბრალდებულს და გამართლდნ მართალი. მე იმედი მაქვს ამ ზომით სიმართლე გამოჩნდება, თუმცა დღესაც ადვილად მისახვედრია სად იმალება იგი.

დკანოზი ღ. ღამაშაძე.

**ცოტა რამ ჩვენი სამღვდლოებისა და მისი ნივთიერი მდგომარეობის შესახებ.**

ჩვენი სამღვდლოების უმეტესი ნაწილი, ეს მესამე წელიწადია, ნივთიერათ გაკირვებულ მდგომარეობაშია, თუმცა მისი მდგომარეობა სახარბიელო არც წინეთ ყოფილა. ჟურნ. „წიგნისში“, ბევრჯერ სისწორით და საფუძვლიანად იყო აღნიშნული, რომ სოფლის მღვდლის ყოველნაირი შემოსავალი ადრეც არ აღემატებოდა საშუალო ხარისხის ჩინოვნიკის 1—2 თვის ჯამაგირს და ესლა ხომ ეს მცირე შემოსავალიც განახევრებულია. საერო გაზეთების თანამშრომლებს რომ დაუჯეროთ, მღვდლებისთანა უზრუნველყოფილი მინისტრები და გენერალ-გუბერნატორებიც არ არიან; მაგრამ განა დაეჯერება რამე იმისთანა ვაჟბატონს, რომელსაც სამღვდლოების ძაგება-სიძულული სენათ გადაქცევი და ყოველ ანაფორიანს განუჩველად რეაქციონერს, მთავრობის მომხრეს, ხალხის მტერსა და მძარცველს უწოდებს? ავიწყდებათ ამ ვაჟბატონებს, რომ ჩვენი სამღვდლოების უმეტესობა ჯერ კიდე უსწავლელია და ამიტომ პროგრესიულ აზრსა და მოქმედებას მას ვერ მოვსთხოვთ. სამღვდლოების უმეტესობა უსწავლელობისა გამო შეგნებით ბევრათ არ განირჩევა სოფლის მართლა რეაქციონერი უსწავლელი ხალხისაგან. ზოგი ნაწავალი მღვდლებიც რომ განუერთარებლობით შეუგნებლებს მივაკუთვნოთ, დაგვიჩვენა უმცირესი ნაწილი მთელი სამღვდლოებისა, რომელსაც შეიძლება ხალხში შეგნების შეტანა და მისი კანონიერი მოთხოვნილების მხარის დაქერა დაევალოთ. არ ვფიქრობ რომ სამღვდლოების შეგნებულ ნაწილს სხვა რომელიმე წოდებაზე ნაკლებ მხარი დაეჭიროს და მსხვერპლი შეეწიროს განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის.

მაგრამ თუთხმეტოდე მღვდლის დასჯა კი არა, მთელი ქართველი სამღვდლოებაც რომ შეიარაღდებულიყო და მთავრობისათვის ომი გამოეცხა-

დებია, ჩვენში მაშინაც სხვა ნაირათ შეხედავდნ, ხალხის საზარალოდ, მღვდლებისაგან ვანგებ დაგებულ მანეთ ჩასთვლიდნ. სამღვდლოების უსამართლოდ გაიკიციეთ და მისი სამსახურის აბუჩად ავადებით თავი ისახელა სარწმუნოებაზე გულგაგრილებულმა ქართველმა ინტელიგენციამ, რომელსაც დაიწყებია, რომ მღვდლებსაც სხვებსავეთ ესაქიროებათ საშუალება ცხოვრებისა და იერემიასებური გოდებით გაიძახიან: არიქა რეაქციონერულმა სამღვდლოებამ ხალხი დაარბია და დრამა აიღოთ. კაცის შრომა უნდა დაფასდეს, უბრალო მუშას დღიურათ საათის შრომისთვისათვის ორი-სამი მანეთი უნდა მიეცესო და ნუთუ მარტო მღვდლომა უნდა იმსახუროს მუქთად? მაგრამ ურწმუნო კაცს არც სარწმუნოება მიჩნია საქიროთ და არც სამღვდლოების შენახვა სავალდებულოთ. ამიტომ სამღვდლოების ნივთიერი მდგომარეობის შესახებ უნდა იზრუნოს მოაწმუნე ხალხმა და თვით სამღვდლოებამ. სასურველია მღვდელს გადაწყვეტილი ჯამაგირი ეძლეოდეს და კერძოთ მღვდელ-მოქმედებისათვის არაფერს ღებულობდეს, რომ გააძლიერებს მღვდელსა და მრევლს შორის სიყვარულს. პირდაპირი ნივთიერი დამოკიდებულება მრევლსა და მღვდელს შორის კი იმოდენად საზიზღარია, რომ სწორეთ ქების ღირსია მრევლი, რომელსაც კიდე უფრო არ შეუძლებია ყოველი მღვდელ-მოქმედების დროს მისკენ საშრომლისათვის ხელგამწვირილი მოძღვარი. როდის მოვესწრებით, რომ ჩვენ მოწაფესთან საშრომელის თხოვა არ დაგვიკიდება მაშინ მაინც, როდესაც მან შავ მიწას მთაბარა ოჯახის რომელიმე საუკეთესო წევრი? მაგრამ ამისი წამალი რომ კიდეც მოიძებნოს, ე. ი. სამღვდლოებას გადაწყვეტილი ჯამაგირი დაენიშნოს, ამისი გადასახადიც ხომ ისევ ხალხს უნდა დააწესე ტვირთად. კრებულს რომ ათას მანეთამდე ჯამაგირი დაენიშნოს და მრევლში მეყოლებოთა რიცივი საშუალოთ 150 ვინაგარიშოთ, მაშინ თითოეულ მეყოლებურე შეიდ მანეთამდე მოაუწვეს, რაც შეუძლებელია ღარიბი სოფლისათვის. რომ მღვდელი ნივთიერათ უზრუნველი იქმნეს და არც მისი შენახვა დაედგას ხალხს მძიმე ტვირთად, მე საქიროთ მიწაწინა უწინდელი შტატების შემცირება და სამრევლოების გაფართოება ერთი-მეორესთან მახლობლათ მდებარე სოფლების შეერთებით. შეიძლება ვინმემ იფიქროს მღვდლები



ვერ შეიძლება დიდი სამრევლოების შოვლასო, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა, რადგან ერთი მღვდელი, თუ ის ნიეთიერად უზრუნველყოფილია, 400—500 კომლიან სამრევლოს. ამ სტრიქონების დაწვერს ავტო ოთხი წელიწადია მარტო ვსახურებ 350 კომლიან სამრევლოში, არავის არავითარ საჭირო მღვდელ-მოქმედებს არ ვაკლებ და კიდევ საკმაოდ მრჩება დრო გონებრივი და ფიზიკური შრომისათვის. საშუალო რიცხვით დღეში ერთი საქმე დღეში ერთი ბავშვი მონათლო, მცირე აიაზმა გარდაიხადო, ან სწული აზიარო. მიკვირს რას აკეთებენ ის მღვდლები, რომლებიც 100—200 კომლიან სამრევლოებში მსახურებენ. აღბად არაფერს, გარდა წირვა-ლოცვისა, რადგან ასეთ მღვდლებს მრევლში შეიძლება კვირაობითაც არ შეხედესთ საქმე. კიდევ კარგი, თუ ასეთი პატარა სამრევლოს მღვდლებს წინგნის კითხვა ეხალისებთ, ან ვხო-გარეშო აქვსთ და ფიზიკურად შრომობენ, თორემ თქვენი მტერი ისინი ძილმა დაასწულოს და უდროვოდ საიქიოს გაამგზავროს. სამრევლოების გაფართოება სამღვდლოების ავტორიტეტს აღამაღლებს და ხალხსაც გაუადვილებს, როგორც მის შენახვას, ისე ტაძრების გამშენებას. ამას დაუმატეთ ის აღფრთოვანება სასოებისა, რომელსაც მღვდელი და მრევლი გრძობს, როდესაც დიდი სამრევლოს ვრცელი ტაძარი მლოცველებით იმსება. ამას მე გამოკიდლებით მოგახსენებთ, რადგან ჩემდამო რწმუნებულ ეკლესიაზედ ყოველ კვირადღეს ამოდენი მლოცველი მოდის, რამოდენიც მცირე სამრევლოს ეკლესიაზე ტაძრის დღეობაზეც არ მივა. მართალია ვრცელი სამრევლოების მღვდლებს ხშირათ არ შეეძლებათ თვითეულ ოჯახში მისვლა, მაგრამ უსაქმოდ მრევლში მღვდლის სიარული საზოგადოთ ჩვეულებათ არ არის და, ჩემის ფიქრით, არც საჭიროა, რადგან სრწმუნოებისა და ზნეობას არაფერი შეემატება და მღვდლების შესახებ კი რუსთაველის სიტყვები „ოდეს ტურფა, აღარ ღირდეს არცა ჩირად“ — გამართლებება. ამიტომ, ვიმეორებ, მიუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია სამრევლოების გაფართოება, მრევლსა და მღვდელს შორის პირდაპირი ნიეთიერი დამოკიდებულების მოსპობა და სამაგიეროდ სამღვდლოებისათ-

ვის გადაწყვეტილი ვამაგირას დანიშნა.\*) შეიძლება ეს ოდესმე ასეც იქნეს, მაგრამ რადგან შესაძლო მთავრობამ ჩვეულებრივად მეტი სულგრძელობა გამოიჩინოს ჩვენ დღევანდლობაზე, ამიტომ საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტამდის სამღვდლოება ნიეთიერად არ უნდა დაისაჯოს და იმან უნდა იტვირთოს მისი შენახვა, ვისაც ის ეჭირება და ვინც აქაჲდი ინახავდა. მრევლმა კარგად უნდა იცოდეს რომ დრამის მოსპობა უჯამაგირო მღვდლებისათვის მაინც უკიდურესი უსამართლობა არის. მხოლოდ სამართლიანობა მოითხოვს დრამა შეძლების კვალობაზე იკრიბებოდეს და არც მარტო გლცქაცობას ხდებოდეს, როგორც ეს მთავრობისგან დიდი ხანია გადაწყვეტილი არის. საერო გაზეთებში ხშირად სწერენ, რომ მღვდლებმა დრამის აღებაზე ჯერ თათონ უარი განაცხადეს და რეაქციის დროს კი ისევ იღებნო. დრამის მოსპობის შესახებ დეპუტატ მღვდლებს სამღვდლოებისაგან რწმუნება არ ქონიათ. მხოლოდ 1905 წლის იმერეთის სამღვდლოების დეპუტატთა კრების დროს ზოგიერთებმა ჯამაგირიანმა დეპუტატებმა, ან ისეთებმა, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ სულ მოკლე დროში არსებული სახელმწიფო წეს-წყობილება მაგიერ ახალი დამყარდება და სამღვდლოებისაც გადაწყვეტილი ჯამაგირი მიეცემაო, აღძრეს საკითხი შესახებ დრამის მოსპობისა. წეს-ყობილება ხელმწიფოში ისევ ძველებური არის არ მესმის—რა პოლიტიკური, ანუ მაინც და მაინც თვალსაჩინო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მღვდლებისაგან დრამის აღებობას? ზნეობრივად კი დრამის მიუცემლობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ხალხი ეწნევა უსამართლობას, სხვისი შრომის დაუფასელობას. საქმის უცოდინარი იტყვის, რომ მღვდლებს მაინც ბევრი შემოუათ სხვა და სხვა მღვდელ მოქმედების საშრომელიო, მაგრამ ნუ დაეი-

\*) როგორც სწინ ამ სტატიიდან ავტორს სრულებით საქმაოდ მიაჩნია მრევლის მღვდლისაგან წირვის, მღვდელ-მოქმედების შესრულება და შემწვარის ცხვრების კურთხვა მრევლის ოჯახში გარდაცვალებულთა მოსახსენებლად... სრულებით ივიწყებს, რომ ერთ უღიდეს მღვდლის მოვალეობას შეადგენს სწავლება და დარიგება. ჩვენში დღეს მღვდლები ამას სრულებით ყურადღებას არ აქცევენ. ორ-სამი მრევლის შეერთებამ დიდი ვნება მოუტანა ეკლესიას რუსეთში და დაზურული შტატები ისევ ვასწენს...  
რედ.

ვიწყებთ, რომ სოფლის მღვდელი სასყიდლოს მარტო ჯვარისწერის დროს და მიცვალებულის დასაფლავებზე დებულობს. აქედან შემოსული ფულით კი ის კოლშეილს კი არა, თავის ჯორს, ან ცხენადაც კი ვერ გამოკვებავს. სამღვდლოებისაგან დრამის აღებაზე უარის თქმა მე მომავანებს ტუსადების ფაფიცვას, შესახებ ქამის აქმედისა იმ მიზნით, რომ უკეთ კვებონ იგინი. თუ დრამის აულებლობა საშინაო პროტესტს წარმოადგენს მთავრობისათვის, ამ—უკანასკნელ შემთხვევაში—მთავრობას აიძულებს ხალხი თავისუფალი გახადოს და თვითონ დაკეინიშნოს ჯამაგირები. კი, ბატონებო, ერთბაშით უარი ვსთქვათ როგორც დრამაზე, ისე სხვა წვრილ შემოსავალზედაც. თუ არა და, რადგან, რუსული ანდაზისა არ იყოს, სიმშლილი მაშიდა არ არის და ჩვენც ხალხისათვის საჭირო ვართ, ამიტომ დრომდის მრევლმა უნდა გვაძლიოს როგორც დრამა, ისე სხვა საშრომელიც ჩვეულებისამებრ. იმედია ამავე საგანზე უფრო საფუძვლიანი და სამართლიანი სიტყვა ითქმის სასულსაგრო და საერო გაზეთებში.\*)

ერთი სოფლის მღვდელთაგანა.

\* \* შეთხვა კავკასიის შესახებ. სახელმწიფო სათათბიროს 30 წევრს შემდეგი შეთხვა წარუდგენია სათათბიროსთვის:

„სათათბირომ უნდა განიხილოს იუსტიციის მინისტრის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ. ეს რეფორმა არ გავრცელდება კავკასიაზე, რადგან იქ ერობა არ არსებობს. ამავე მიზეზით არ გავრცელდება კავკასიაზე ის კანონიც, რომლის ძალით ხალხის გამოკვების საქმე ხალხსავე უნდა გადაეცეს; ამგვარივე ბედი მოელის საყოველთაო სწავლა-განათლების საქმეს კავკასიაში. ამიტომ ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი სათათბიროს წევრნი ვსთხოვთ სამინისტროს თავმჯდომარეს, გამოარკვიოს: აქვს თუ არა კავკასიის ნამესტნიკს განზრახვა წარუდგინოს სათათბიროს პროექტი კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ და თუ აქვს, დაახლოვებით როდის წარმოადგენს. შემდეგ სასურველია ვიცოდეთ, არკვევს თუ არა მთავრობა და წარმოადგენს თუ არა სათათბიროს კანონ-პროექტს ნამესტნიკის ახლად დელ საბჭოს გადაკეთების შესახებ იმ აზრით, რომ საბჭოში მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ მცხოვრებთა არჩეულებმა. წარედგინება თუ არა სათათბიროს შემდეგი პროექტები: გადაკეთება სამაზრო მართვლობისა, გადაკეთება საეროთა სადარაჯო რაზმისა, კავკასიის სასამართლოებში ადგილობრივ მცხოვრებთა მონაწილეობის შესახებ, გაუქმება სამხედრო სახალხო სასამართლოებისა, ყარსისა და ბათუმის ოლქებში სამხედრო სახალხო გამგეობის მთავიერ საზოგადო სამოქალაქო გამგეობის შემოღება, ადგილობრივ ენების შემოღება დაბალ სასამართლოებში, პირველ დაწყებით სკოლებში ადგილობრივ ენებზე საგნების სწავლება და ადგილობრივ ენების წესიერი სწავლება კავკასიის ოლქის საშუალო სასწავლებლებში, შემოღება კავკასიაში მესაკუთრეობის სისტემისა გამაჯენის შედეგის დასაცვლად, რომელიც რამდენიმე მილიონი დაუჯდა მთავრობასა, წყლით სარგებლობის შესახებ არსებულ დებულების გადასინჯვა და კავკასიაში ვრცელ გეგმაზე მოწყობა წყლის არხების საქმისა. გამოარკვევა მფლობელობის უფლებისა ყარსისა და ბათუმის ოლქების. არა საქალაქო მიწებზე აგრეთვე კემკელის, მოჯალათის, არჩის და სხვა ამ გვარ მიწებზე. მოსპობა შიდა გუბერნიებიდან კავკასიაში გადმოსახლებისა. უიწა-

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* მას შემდეგ, რაც სათათბირო გაიხსნა, მემარჯვენეთა მეთაურობის თაოსნობითა და განკარგულებით პროინციიდან „ნამდვილ რუსთა“ ბევრმა განყოფილებამ მიმართა ხელმწიფეს და მთავრობას თხოვნით სათათბიროს გარეკის შესახებ. ხოლო ამ ბოლო დროს ამ დღეებში ერთი მოულოდნელი დღეშა აღმოჩენილა, სტავროპოლის ნამდვილ რუსთაგან უმაღლეს სახელმწიფე გავზავნილი. ისინი ემუდარებიან ხელმწიფეს დაიცვას თვითმპყრობელობა, ხანგრძლივად იმეფოს მტერთათვის თავზარდასაცემად, რათა ამ მტრებმა ხელი არ შეუშალონ ხელმწიფე იმპერატორისა და სრულიად რუსეთის წარმომადგენლების მუშაობას რუსეთის საკეთილდღეოდ.

\*) ტყუილად იმედობს ავტორი, რომ საერო გაზეთები მღვდლების სარჩინო იტყვიან რამეს. საერო გაზეთები დღეს საჭიროდ აღარ რაცხენ ეკლესიას და სამღვდლოებას. როდეს მოვლიან გონს, ეს ღმერთმა იცის... რედ.

წყლო და მცირე მამულიან გლეხებისთვის მიწების მიზომვა, გლეხთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულობის მოსპობა, რაც უკვეველად წინ უნდა უძღოდეს კავკასიაში აგრარულ რეფორმას“.

ეს შეკითხვა დაიბეჭდება და დაუბრუნდება სა-თათბიროს წევრებს; შემდეგ განხილულ იქნები სა-თათბიროს საზოგადო სხდომაზე.

\* \* \* ტფ. სასულიერო სემინარიიდან, როგორც აღვნიშნეთ. დაითხოვეს პირველი კლასის მოწაფენი. ამის გამო 2 აპრილს სწავლა შესწყვეტეს მეორე და მესამე კლასის მოწაფეებმა და მოითხოვეს დაითხო-ვნილ მოწაფეების უკანვე მიღება და უგეზამენოდ კლასიდან კლასში გადაყვანა.

სემინარიის მთავრობამ 3 აპრილს განიხილა მოწაფეთა წერილობითი მოთხოვნანი და ხმის უმე-ტესობით არსებულ კანონის წინააღმდეგ სცნო. მან და დადგინა: გაფიცული მოწაფეები დათხოვნილ იქნან, ისე კი, რომ მათი უკანვე მიღების საკითხი გამგეობამ 15—16 მაისს განიხილოს, უკეთუ თხო-ვნებს გამოგზავნიან და სემინარიაში სწავლას, აგვი-სტრიაში გამოცდის შემდეგ, მოისურებენ. გამგეობის სამი წევრი: დვკ. ნ. თლაკვაძე, მღვ. გ. გამრკვე-ლი და მასწავლებელი ი. ი. ვერაძე უმრავლესობის ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და ცალკე აზრი შეიტანა. მათის აზრით ტფ. სემინარიის მოწაფეთა მოთხოვნა მთელი სახელმწიფოს სემინარიათა მოწა-ფეების საერთო მოთხოვნაა: ყველგან მოითხოვენ გამოცდის მოსპობას; საქმაოა მოწაფეები დროებით მშობებთან სახლებში გაწვეულ იქნან ამ მომწი-ფებულის საკითხის სინოდის მიერ ასე თუ ისე გადაწყვეტამდისაო. სემინარიის გამგეობამ, სამი წე-ვრის აზრით, გამოცდათა სრულიად მოსპობის შე-სახებ სწრაფი შეამდგომლობა უნდა აღძრას ამის გამო და აგრეთვე იმის მიხედვით, რომ მოწაფეებმა გაფიცვა მშვიდდ და წყნარად ჩაატარეს, მათი სრულიად დათხოვნა სემინარიიდან შეუძლებელიაო. ექსარხოსმა უმრავლესობის გადაწყვეტილება დაამ-ტყცია. იმის განკარგულებით, სინოდს განსახილველ-ლად გაგზავნება პედაგოგიურ ჟურნალის ასლი და ხსენებულ სამი წევრის ცალკე აზრიც.

\* \* \* 3 აპრილს, საღამოს 5 საათზედ, პოლიციის მე-6 ნაწილში ტკაცის ქუჩაზე პოლიციამ გაჩრიკა ალახვერდი-ოღლის სახლი და ნახა იქ 6 ცინკის ყუთი. ყუთებში აღმოჩნდა 1800 პატრონა თოფისა,

178 პატრონა რევოლვერისა, ერთი თოფი და ერთი დიდი ხანჯალი. პოლიციამ დააპატიმრა სახლის პა-ტრონი ილი ალახვერდი-ოღლი და აქვე მდგომნი ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი ერასტი კალანდა-რი და აკაკი კუჭულაია. ალახვერდი-ოღლის გა-უჩხრიკეს აგრეთვე ლუქანი, სადაც ნახეს ერთი ტო-მარა მოპარული ნივთი. დაპატიმრებულნი საკომენ-დანტო სამართველოში წაიყვანეს.

\* \* \* ტფ. საფაქვალ-აზნაურო ბანკში ორასი ათას მანეთად დაგირავებული იყო თავ. ბარათაშვილის ბორჩალოს მამული 8000 ლესტენამდე. რადგან თ. ბარათაშვილი ბანკში ფული ვერ წარადგინა, მამულ-ის საჯარო ვაჭრობის დროს დანიარჩუმე ტფელი-სელმა საჯიბტალისტმა არამიანცმა. როგორც ამო-ბუნ, ეს მამული 600,000 მანეთად ღირს თურმე. თავ. ბარათაშვილს არამიანცისა მართებია 20,000 მანეთი.

\* \* \* გაფიცვა არვის წინააღმდეგ. ს. ლუკიანიკოს (გვატურ. გუბ.) მცხოვრებლები დაუფიქრდნენ იმ გარემოებას, რომ რუსეთში ღღემდის ყოველნაირი გაფიცვები მოხდა არაყისა და სიმთვრალის წინააღ-მდეგ გაფიცვის გარდა და გადასწყვეტეს სრულგმობი ხელი აიღონ არაყის ხმარებაზე. სასურალდებოა, სხვათაშორის, ის ფრიალ დინჯი სიტყვები, რომელიც გლეხთა კრებაზე წარმოითქვა: მოლაპარაკეთ სასესე-ბით იმის შეგნება ემზეროდათ, რომ არაყი, რომე-ლიც ხაზინას შეიდას მილიონამდე შემოსავალს აძლევს, ჰლუპავს ხალხს სულითა და ხორციით, აბე-ჩავებს, ერთობის ნიადაგს ფეხს ქვეშ აცლის და გლეხთა სიღარიბესა და საცოდად მდგომარეობის ერთ უმთავრეს მიზეზთაგანს წარმოადგენს.

\* \* \* შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეცოხთა ზოგიერთ გუბერნატორს, საჭიროა თუ არა ძალაში დარჩეს კანონი, რომლითაც გაძლიერებულ იქნა რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილს პოლიციის შტატე-ბით. ყველა გუბერნატორისაგან უკვე პასუხი მიუ-ღია სამინისტროს: რასაკვირველია ერთხმად აუწყე-ბენ, გაძლიერებული პოლიცია გუკვს გარეშე საჭი-როებას წარმოადგენს რუსეთში წესიერების დასაც-ველად, და არსებული კანონიც ძალაში უნდა დარ-ჩესა.

\* \* \* ს. რევოლიუციონერების გადაწყვეტალება. ს. რევოლიუციონერების ფრაქციამ დაადგინა, აღარ მიმართოს მინისტრებს და აღარ სთხოვოს ხოლმე

ამა თუ იმ პოლიტიკურ ტუსადების მდგომარეობის გაუმჯობესება, რადგან, როგორც პრაქტიკამ დაამტკიცა, მინისტრები არაფერს არ ასრულებენ. მინისტრი მთხოვნელს თავის თანაშემწესთან ჰგზავნის, ის კიდევ — დეპარტამენტის დირექტორთან და ბოლოს ეუბნებიან, რომ ეს საქმე ადგილობრივ ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული.

\* \* \* რისთვის დაითხოვენ სათათბიროს? გახ. „სევ.“-ის სიტყვით, მთავრობის წრეებში ხმები, რომ სათათბიროს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში დაიხილო: 1) თუ სათათბირო გაერევა იმ კრებულების გაწეს-რიგებაში, რომელიც ფინანსთა მინისტრის სიტყვით, მაგარი ჯავშანით არიან გარემორტყმულნი, ამ კრებულის კრიტიკას ან იმის შესახებ რაიმე დადგენილებას ვაგებდავს; 2) თუ სათათბირო დაარღვევს სახელმწიფოს ძირითად კანონებს ან რაიმე უკანონო დასკვნას დაადგენს ძირითადი კანონების გადასინჯვის ან გამოცდის შესახებ; 3) თუ სათათბირო რაიმე ვადაწყვეტილებას გამოიტანს მიწების ძალით ჩამორთმევის შესახებ, პირველ სათათბიროს მიერ შემუშავებულ საფუძვლით; 4) თუ სათათბირო უშაღლესი მთავრობის უფლების შეკვეცას მოაწოდინებს ან რაიმე ვადაწყვეტილებას დაადგენს ამ უფლების იურიდიულად საკამათო ხასიათის შესახებ; 5) თუ სათათბირო არ დამტკიცებს ბიუჯეტს ან არ დამტკიცებს სესხს, რომლის საჭიროებაც დეფიციტითა და სახელმწიფო საზოგადო მდგომარეობითაა გამოწვეული; 6) თუ სათათბირო გამოიტანს დადგენილებას მინისტრების პასუხისმგებლობის შესახებ, საკანონმდებლო ორგანოს საზღვარს გადასცილდება და ეცდება აღმასრულებელი ორგანო ჩივილის ხელში; 7) თუ სათათბირო პირდაპირ კავშირს შეჰქმნის ხალხში არსებულ პოლიტიკურ წრებთან და სხვა.

\* \* \* სათათბიროს კომისიამ მოითხოვა სახელმწიფო კანტორები 1905 წ. უქვეშევრდომილესი მოხსენება, რომელიც ბიუჯეტის გამოსაკვებად დასჭირდა. კომისიას მთავრობამ გადაჭრით უარი გამოუცხადა.

\* \* \* 5 აპრილს საღამოს პოლიციელებმა სენნი ქუჩაზე მოულოდნელად გაჩხრკეს იორდანოვის სახლი, სადაც აღმოაჩინეს 10-მდე სასროლად დამზადებული ყუმბარა. პოლიციელებმა სახლის პეტ-

რონი იორდანოვი დაპატიმრეს და საკომუნდენტო სამმართველოში წაიყვანეს. შეუდგნენ გამოძიებას, ვისგან და რისთვის იყო ყუმბარები დამზადებული.

\* \* \* დღეის მსახურების წიგნების ბეჭდვის საქმე ჩვენში მეტად ცუდათ არის დაყენებული. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ექსარხოს მიუცია წინადადება კანტორისათვის მოთქმულს ამაზე და დააწესონ ამ წიგნების მბეჭდავი კომიტეტი მკოდნე პირებიდან. შეიძლება აღეკანდრე პავლოვიჩი არდაზანიც მიიწვიონ ამ საქმისათვის... გამოაშკარავდა, რომ ჩვენ კანტორას წიგნების ბეჭდვის საქმე არ შეუძლია. საჭიროა ყველა ებისკოპოსები და მკოდნე პირები მიიწვიონ და მათთან ერთად გარდასწყვიტონ წიგნების ბეჭდვის საქმე. ექსარხოსს და მის კანტორას წიგნების ბეჭდვის საქმე არ შეუძლია...

\* \* \* აღმინსტრაციული დასჯა. „გახ. ტრუდოვანარ.“-ს მოჰყავს შემდეგი საინტერესო ცნობები. 1905 წ. ოქტომბრიდან 1907 წ. მარტამდის აღკვეთილი იყო რუსეთში აღმინსტრაციული წესით 315 გზავთი, დაიხურა 88 სტამბა; 164 შემთხვევაში დაკავებულ იქნა სხვა და სხვა წიგნაკები და წიგნები; 145-ჯერ აღკვეთილს ვაგებდავს ცალკე ნომრების ყიდვა; დაიხურა 26 ბიბლიოთეკა და წიგნების მალაზია; დაიკეტა 30 სასწავლებელი, დათხოვნილ იქნა სამსახურიდან 40 ათასამდე კაცი.

\* \* \* ნამდვილ რუსთა კავშირი ამ ყამად ემზადება აღდგომის პირველ დღეს სხვა და სხვა დიდ ქალაქებში პეტერბურგსა, მოსკოვსა, ოდესსა და კიევიში—დიდი პატრიოტული მანიფესტაციის გასამართავად. პურიშკევის უკვე გაუგზავნია პროვინციებში კავშირის განყოფილებებისათვის შესაფერი განკარგულება. პატრიოტები ფიქრობენ, რომ მთავრობა აღდგომის პირველ დღეს გამოსცემს ბრძანებას სათათბიროს დათხოვნისა და ზემსკი სობოროს მოწვევის შესახებ.

\* \* \* გადგომის აუღენცა ხელმწიფესთან. სათათბიროს თავმჯდომარემ გოლოვინმა მიმართა თხოვნით ცარსკოვ სელოში რათა ნება მისცენ ხელმწიფე ინახულოს. ხმები, რომ გოლოვინს სურს ანუშარტოს ხელმწიფეს ამ ბოლო დროს სამინისტროსა და სათათბიროს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება გარეშე მკოდნე პირთა მოწვევის აკრძალვით და სხვა-და-სხვა დაბრკოლებით გამოწვეული.



ახიზმებული წერილი რედაქციისადმი



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილზნებაზე.

ათი მხნეაბ.

პ ა ს უ ხ ი

„პატივცემულო მამო რედაქტორო! პირველად ღმერთსა ვსთხოვ, რომ თქვენ შიერ მიღებული მიმიტე ტვირთი დღევრძელობით გეტარებინოს და სასახელოდ აგვსრულებიოს თქვენი მიზანი. სხვა მამო, დეკანოზო, დანაშაური ვართ ოკრიბის საბლაღოზინო მიღვლდები, პატი თავის დროზე გახეთი „მწყემსი“-ს ფულს ვერ გიღვგენთ, მაგრამ ყველა ეს თვით უწყით „არეულობის“ ბრალოა და, იმედია, მოგვიტყვებთ. რაიცა შეებება ამა წლის „მწყემსი“-ს გამოწერას, გთხოვთ გვიგზავნათ და წლის ბოლოს მოგართმევთ მის ფულს.“

როცა მიღვლდები დრამის ფულებს სთხოვენ გლვებებს ისინი ეუბნებიან: მოგართმევდით, მამო, მაგრამ ორგანიზაციის გვეწინია და უკაცრავათო!.. სწორედ ასევე იქცევა პატივცემული წერილის მომწერიც: ფულები ვერ გამოგზავნეთ, რადგან „არეულობა“ იყო რ მიან დავაბრკოლო. ჩვენ არ გვჯერა, რომ ორგანიზაციას დავშალოს სამღვდლოებისათვის გახთვის გამოწერა. ეხლა თხოვილობთ გახთვის გამოგვანებს და გვიპირდებით ფულების გამოგზავნას ამა წლის დამღვლდეს... წელიწადი, რომ გათავდება მაშინ კიდევ იქნება „არეულობა“, მოხდეს და ვისგან მივიღებთ ფულს?! ჰამას წინეთ ი. — ძე სწერდა გახთვის „ისარ“-ში, რომ მეორეთ მოხვლა იქნება და ჩვენი ქვეყანა იქნება სულ მოისპოსო და ეს უბედურობა, რომ მოხდეს გახთვის ფული ხომ სულ დავგვიკარგებთ!.. თუ გახთვის კითხვის ხალისი გაქვსთ ფულიც წინ და წინ უნდა გამოგზავნათ, თორემ „არეულობის“ მიხეზით უფულოდ გახთვის ვერავის გაუგზავნით და ჩვენც უკაცრავად!..

რედაქტორა.

P. S. ვერ წარმოვიდგენდით თუ ასე დაქვეითდებოდა ოკრიბის საბლაღოზინო კრებულნი, რომ წლის განმავლობაში ყურნალებს მიიღებდნენ და წლის დასრულებისას ფულის შემოტანაზე უარს იტყოდნენ...! დიად, არეულობას უნდა დავაბრალოთ, ან ეშმაკს, თორემ რით გავიპართლებთ თავს?!.

ფრიად საყურადღებო და შესასწავებელია მოთხრობა იმაზე, როგორ მიიღო ებრაელის ერმა ღვთისგან ათი მცნება, ანუ სწავლა-დაიჩვენა შენახებ ზნეობით ცხოვრებისა, მოგზაურობის დროს ეგვიპტიდგან აღთქმის ქვეყანაში. ურჩვეთ მსურველთ წიკითხონ ეს მოთხრობა დაბადების წიგნში, თავი მეცხრამეტე მეორე წიგნის გამოხვლათა.

ებრაელნი, — მამა-მთავრის იაკობის ჩამომავლობა, — გამრავლდნენ ეგვიპტეში, სადაც იაკობი გარდასახლდა თვის ცოლ-შვილით შიშილიისა გამო. იქ ეს ვრი, ბოლო დროს; დიდ შევიწროებაში იმყოფებოდა. ღვთის ბრძანებით იგი გამოისხნა ეგვიპტელების მონებისგან მის წინამძღოლმა, წინასწარმეტყველმა მოხემ. მოგზაურობით ებრაელნი მოვიდნენ სინას მთასთან და იქ, მის ახლოს, ველზე; დაიბანაკეს კარვებში.

როცა შესრულდა ორმოც და ათი დღე ეგვიპტიდგან გამოხვლისა. ებრაელებმა ორი დღე გაატარეს მარხულობით და მოთმინებით. მესამე დღეს, დილითვე, შემოისმა ქუხილის ხმა, გაჩნდა ვლვა-ქექი; შავი ღრუბელი მოეცო მთასა, ისმოდა საყვირის ხმა, რომელიც თან და თან უფრო ძლიერდებოდა. მოხემ ბანაკიდგან გამოიყვანა ერთი მთის ძირში. ერი ხედავდა რომ სრულიად მთა ირყეოდა და მისგან გამოდიოდა კომლი, როგორც სახილიდგან: მთაზე შავი ღრუბლით და ცეცხლით გამოცხადდა უფალი მოხე და მისი ძმა აარონი მიუახლოვდნენ უფალსა. მოხე იღგა ერის პირდაპირ, როგორც შუა-კაცი ერისა და ღვთის შორის. ერს ესმოდა ხმა, ყველა არჩვედა იმ სიტყვებსა, რომელნიც ისმოდნენ მთიდგან, მაგრამ მის სახეს,

ვინც ხმაურობდა, ვერაფერ ხედავდა. ხალხს მოგესმა ათი მცნება...

### პირველი მცნება.

**მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იფენენ შენდა ღმერთნი უცხოანი, ჭეშმა გარეშე.**

ყოველი შენობა, ყოველი ნივთი, კაცისგან აგებული და ვაკეთებული, უმკველად იცავს ჰაზრსა თვის ამშენებელის და გამკეთებელის მყოფობისასა, — იგინი მოწმობენ, რომ, თუ ეხლა აღარ არიან ამშენებელი, არც გამკეთებელი, ოდესმე ყოფილან ამ ქვეყანაში და უმოქმენდათ. ასე, აღამიანი ყოველს თვის საქმესა სდებს ბეჭედსა თვის არსებისასა. როგორც აღამიანის მოქმედება, საზღვარდებული და მცირე, მოწმობს მის მყოფობასა, ისე უფრო დარწმუნებით და ღიადს უფლებით მოწმობს ეს მიუწვდომელი და მშვენიერი სამყარო თვის შემოქმედის არსებასა, იმ შემოქმედისასა, რომელიც იყო, არის და იქნება.

„მე ვარ უფალი ღმერთი შენი“... ეს წარმოუთქვა შემოქმედმა ებრაელის ერსა, ხოლო მის საშუალობით სრულიად კაცობრიობასა. ეს დაწერილია არა მხოლოდ ქვის ორ ფიციარზე, არამედ ყოველი აღამიანის შინაგან ბუნებაშია და გარეშეცა. თვით ის ნიჭიერება, რომლითაც არის შემკული აღამიანის ბუნება, უფლებით აგონებს სულსა, რომ იგი არის ნაპერწკალი ღვთაებისა. „მე მეაფს ღმერთი, ჩემი შემოქმედი“... აღამიანი მუდამ ამას უნდა აღვიარებდეს თვის გონებითა და სინიდიდითა. აღამიანის სული უნდა გრძნობდეს თვის დამოკიდებულებასა შემოქმედისგან: ამ გრძნობის თესლით, მის დაყოლებით, მოდის აღამიანის სული, ხორკით შემოსილი, უცნობები ქვეყნიდან საცხოვრებლად ამ ნივთიერ ქვეყანაში. ამ ქვეყნის ზენადაც და ქვედადაც, აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით, ყოველმხრივ, აღამიანი უნდა კითხულობდეს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი“... იგი ყოველგან უნდა ხედავდეს შემოქმედებასა და ღიადებას.

უნდა კითხულობდეს, უნდა ხედავდეს... მაგრამ აღამიანი ამ ქვეყანაზე იხადება ცოდელი. იგი, როგორც ასეთი, მოკლულია გონებით-ზნეობით სიბნელითა. იგი, თუმცა შემკულია მშვენიერ

რი ნიჭიერებითა, მაგრამ ამ ნიჭიერებას გახსნა უნდა იმ გზით და იქამდინ, რომ აღამიანმა იცნას თვისი სინამდვილე, მიზანი თვის გაჩენისა და ცხოვრებისა. როდესაც იგი ქეშმარიტად იცნობს თვის თავსა, იცნობს, რომ იგი არის შვილი ნეტარი უკვდავებისა, ხოლო მის დაკარგული აქვს იგი და ამიტომ მოვალეა, რომ მოიპოვოს იგი მაშინ გულით და სულით მოსძებნის იმას, ვინც არის წყარო ამ ნეტარებისა, მოსძებნის სარწმუნოებითა და კეთილ-ზნეობითა თვის შემოქმედსა და დაუახლოვდება მას.

„მე ვარ ღმერთი ყოვლისა მპყრობელი, მდიდარი წყალობითა დაქეშმარიტებითა, სულგრძელი, მწყალობელი თას თაობამდე, მომშორებელი უსჯულოებისა, დანაშაულობისა და ცოდვისა“. ასეთ სანუგეშო ქეშმარიტებას აუწყებს შემოქმედი კაცობრიობასა და ამტკიცებს კიდევცა თვით საქმით, ამტკიცებს იმ მზრუნველობით, რომელსაც აცხადებს იგი ზნეობით ქვეყნიერებაში, ნაცვლად იმისა რომ თვით აღამიანმა მოსძებნოს თვისი შემოქმედი დაუახლოვდეს მას. თვით იგი ვითარცა ღმერთი სიყვარულისა და წყალობისა, ეძებს აღამიანსა, ცოდვის ღვლეში, მსჯავსად ცხოვარისა, გაბლანდულსა, ეძებს იმ მიზნით, რომ მიანიჭოს აღამიანსა ის, რაც დაკარგული აქვს მას, მიანიჭოს ცნობა და რწმუნება მის შემოქმედისა, რომელიც არის წყარო ნეტარებისა.

ამ მიზნის მისაღწევად გამოცხად ღმერთი ღრუბლითა, ქუხილითა; ელვა-ქექითა, საყვირითა და ცეცხლითა და შეაგონა კაცობრიობას: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი“... ამ მიზნის მისაღწევად მოაფონა მამა-ღმერთმა ქვეყანაზე არა ღრუბლით და ცეცხლით, არამედ განხორციელი, ბით განკაცებით, მე თვისი საყვარელი, რომლისაც ბავთა წარმოუთქვებს კაცობრიობასა სიტყვა მაცხოვარებისა. „ვინც არ შეისმენს სიტყვათა, რომელთაც იგი იტყვის სახელითა ჩემითა, მას მე მოვკითხავ“. ასე აფრთხილებს ღმერთი აღამიანსა, რომ არ გაბედოს მან ურწმუნოებით დამცრობა მაცხოვარების სიტყვისა. აქაც რა ფრიადი მოწყალება სჩანს შემოქმედის მხრივ სასარგებლოდ საწყალი აღამიანისა!

„მოვკითხავ“... მოჭითხავს ღმერთი პასუხს იმ გონებასა, რომელიც ეძიებს და იძენს მხოლოდ



ქვეყნის სიბრძნესა: შეისწავლის ცისა მნათობთა წესწყობილებასა, მიდნარით და ზღვით მოგზაურობასა, დედა-მიწის შემუშავებასა, მისგან სარგებლობასა, ხოლო იმავე დროს რჩება უმეცარი ამით ყოველთა შემოქმედისა... მოჰკითხავს მას, ვინც ბევრსა წერს და კითხულობს, ხოლო ვერც თვის ბუნებაში, ვერც სამყაროს სივრცეში ვერ კითხულობს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი“...

„მოკითხავ“... მოჰკითხავს ღმერთი პასუხსა იმ გულსა, რომელიც ეტრფიალება მხოლოდ ამოკების სიტკბობასა, მხოლოდ იმაში ჰპოვებს მარჯობასა და უგულვებელ ჰყოფს კეთილ-ზნეობასა, რომელშიაც არის საფუძველი ნეტარი უკედევებისა, სადაც ისმის ხმა შემოქმედისა: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი“... „მე ვარ მაცხოვარი და სიტკბოება შენი“...

„მოკითხავ“... მოჰკითხავს ღმერთი პასუხსა იმ ნებისა, რომელიც ეკრაობს და არ ემორჩილება სვინიდისის კეთილ რჩევასა, თავნებობს შეურაცხყოფს ყოველ კეთილსა, ჩაფლულია ბიწიერებაში იქამომდე, რომ არ ემის არც თვით სვინიდისში, არც გარეშე, ხმა შემოქმედისა: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვენ შენდა ღმერთნი უტხონი, ჩემსა გარეშე“, — ეკრბნი ბიწიერებისა.

„მოკითხავ“... მოჰკითხავს ღმერთი პასუხსა მშობელთა და საზოგადოდ მსწავლელ-აღმზრდელთა, რომელნიც არამთუ არ უხსნიან ყრმთა ქრისტიანულ სარწმუნოების და კეთილზნეობის გრძობასა ქრმობისა ჩაგონებითა და კეთილი მაგალითითა, არამედ უხშავენ მათ ამ გრძობასა გარეგნობის დანერგვითა და ამოების ელვარებითა, — უხშავენ ნიქსა ღვთაებისა და მის მაცხოვარების ცნობისსა საქმით, თუმცა ასწავლიან მხოლოდ ბავით გამოთქმასა: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი“... მოკითხავს ღმერთი პასუხსა მას, ვინც არც თვით იგონებს, არც სხვას აგონებს, რომ იგვიტ ღმერთი სჯის მამათა უსჯულოებასა შეილებში და შეილი-შვილებში მესამე და მეოთხე თავობამდე“.

„მოკითხავ“... ფრიად საყურადღებო და სასწავლოა ესოდენ უფლებითი გარდწყვეტილობა შემოქმედისა ყოველი ქრისტიანისთვის, რომელსაც აღთქმული აქვს ნათლისღებაში, რომ ისმინოს სიტყვა თვის მაცხოვრისა და ემსახუროს მას კეთილზნეობითა, რათა იდიდებოდეს

მით სახელი ღვთისა, ცისა და ქვეყნის შემოქმედისა, რომელიც ესოდენ ცხადად გვიმტკიცებს თვის არსებასა როგორც საქმის, ისე სიტყვით: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი“...

გრძნობაჲ, ბორტკებითა?  
 ზენოა გრძნობაჲ! მოდი, მომეხე, რად ხარ წასული, მოდი, შემინე და დახურული ჭეშმარიტება, ჩემს ბუნებაში, კეთილწმუნებასა, ჩემს არსებაში? დღვის ჩემისა, რად ვარ დატყუელ შემოქმედისა!  
 რად ვარ წამებულ შემტრებითა, ი ბალუკეი.

**შეწირულება**

ჩვენ მივიღეთ თერგის-თემის კეთროვანთა მღვდლის ზამა გიორგი კალანდარიშვილისაგან შეგროვილი ფული 22 მ. 10 კ. დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ.

მოგვიყვას აქვე სია: ჩვენებით თუ ვინ რა შემოსწირა.

მღვდელი გიორგი კალანდარიშვილი.	2	მ.	კ.
ზარბაზე კალანდარიშვილისა.	1	„	„
ეკატერინე კალანდარიშვილისა.	1	„	„
კირილე გარდანოვი.	2	„	„
ქალები მასწავლებლები.	1	„	„
მარია ჯაგენსკაია.	1	„	„
პ. ზეკალინისა.	1	„	„
მღვდელი ნიკოლოზ ზავიალოვი.	2	„	„
კეთხოვნებით ავადმყოფთაგან კაზაკებთაგან.	7	20	
გაბრიელ განსენსკი.	„	50	
უცნობისაგან.	„	50	
კაზაკი ნიკოლოზისაგან.	„	50	
კაზაკ დამაკონისა.	„	20	
გაბრიელ მტყვევისაგან	„	50	
მთავარდიაკვნის გიორგი გოლუბინსკისაგან	„	50	
მარია გოლუბირსკისაგან.	„	20	
ვედოკია კოსინენკოსაგან.	„	20	
პატარა ქართველ თამარა კალანდარიშვილისაგან	„	50	
გრიგორი ლტენდინსკისაგან.	„	30	
სულ	22	10	

ეს ფულები დანიშნულებისამებრ გარდაეცა კომიტეტს.

**რედამციისაგან.**

ხშირად მოგვდის სამღერავი, რომ რკინის გზის სადგურებიდან გაზეთებს ვერ ვიდებთო. რედაქცია საჭიროდ რაცხს გამოუღებლად ყველა ჟურნალზე ხელის მომწერთ, რომ ჟურნალი თავთავის დროზე ეგზავნებათ რკინის გზის სადგურებზე, მაგრამ ეს გაგზავნილი ჟურნალ-გაზეთები ხშირად ეკარგებათ მათ თუ თავის დროზე არ წიდიეს. ზოგიერთი რკინის გზის სადგურების უმფროსები და სტოროკები იმდენად სანდონი არ არიან, რომ ხელის მომწერთ შეუხაზონ დაგროვებული ჟურნალ-გაზეთები. ამისათვის ურჩევთ ყველა ხელის მომწერთ, რომელნიც რკინის გზის სადგურებიდან იღებენ ჟურნალ-გაზეთება ან რამე სხვა წიგნაკებს, მოკლაბარკონ რკინის გზის სადგურის უფროსებს და მიუჩინონ სანდო პირები, რომ გაზეთები და სხვა კორესპონდენციები მიღებისათნავე მათგან მიჩინელ კაცებს გარდასცენ. რედაქციას არ შეუძლია, რომ ჟურნალ-გაზეთები სადგურიდან გაუგზავნოს ხელის მომწერთ. ორ-სამ თვეს თუ არაინ მოიკითხა ჟურნალ-გაზეთი, რასაკირველია, დაეკარგებათ.

**რედამციის პასუხი.**

მღე. კ.—ლს. სირცხილია შეწირულების წერილიც ვერ შეადგინოს მღვდელმა. წიკითხეთ როგორ სწერენ სხვები და ისე დასწერეთ. თქვენ წერილს თავი და ბოლო არა აქვს და მისი სწორების დრო ჩვენ არა გვაქვს. ზოგიერთებს. ჩვენ ყოველთვის გვგზავნიან. უნდა გყავდეს ნაცნობი რკინის გზის სადგურზე როცა ჟურნალ-გაზეთის მოიტანებენ თქვენმა რწმუნებულმა უნდა მიიღოს თუ ასე მოიტკეცეთ გაზეთი არ დაიკარგება. ერთ შედაგთხეს. რ. ხუნდაძის ტიბიკონი აღარ იმეკნება გასასყიდელი.

მღ. ღაყთა მთურაქს. ტიბიკონის წიგნი არ არის გასასყიდი. მეორედ გამოცემას ვერ ბედავს მისი პირველად გამოცემი. ვისაც მიეცევი გასასყიდად ფულები ველარ ამოვიგეო...

ამ ნომერთან იგზავნება წიგნაკი იესო ქრისტეს ვენებაზე „მწყემსი“-ს რედაქციისაგან გამოცემული.

მიიღება ხელის-მოწერა 1907 წლისათვის ორ.

ქმირაულ შუხნალს

**XXIV წ. „მეფემს“-ზე XXIV წ.**

ქ უ რ ნ ა ღ ი ს ფ ა ს ი :

12 თვით 3 მან. - 6 თვით 2 მან.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ეგორილაში რედაქციაში, თბილისში წერა-კითხვის გამაგრეველ ელ აზზაკალოებს წიგნის მაღაზიაში. ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. ჰ პირველ ივლისს 1 მ. სოფლის მასწავლებლთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმოზათ მთელის წლით **ო რ მ ა ნ კ თ ა ღ .**

რედაქცია იმყოფება დ. ეგორილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирлян, въ редакцію журнала „МЦКЕМСИ“.**

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენივე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმოზათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე მრავალ-გვარი საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი, რომელთა კითხლოვანი დრო-გამომშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება მსურველთა მოსიძლება დაიბარონ რედაქციიდან უფასოდ.

**შ ი ნ ა ა რ ს ი .**

**სალიტერატურა. ბანდოვილიშვა:** ჩვენი საეკლესიო საკითხის გამო, 5. თ.—უშუშდესი სინოდის ობერ-პროკურატორის კონსტანტინე პეტრეს ძის პოზემონასციეის გარდაცვალების გამო, სოფლის ზუღეის.—რისთვის დასაჯეს მღვდელი გრიგორი პეტროვი? დეკ. დ. ღამბაშიძის.—მკვდრებს აღარა რტებენიათ, იმისივე.—ცოტა რამ ჩვენი სამღვდელთებისა და მისი ნიეთიერი მღვდმარეუბის შესახებ, ერთი სოფლის ზუღეისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ახორებული წერილი რედაქციის მიმართ.

**სავალა და მისინაება ძრისტანოზობრიმ სარწმუნოებას და კითილ-წემოზაშ:** ათი მცენება, ი. ბალუევის. შეწირულება.—რედაქციისაგან.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ღამბაშიძე, 15 აპრილი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციის (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძის) ყვირილა საკუთარ სახლში.